იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

**სასწავლო კურსი** – ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა
**სასწავლო კურსის სტატუსი** –არჩევითი
**კურსის კოდი** – P.2. K.04
**კრედიტების რაოდენობა**: 5 (ხუთი)
**ლექტორი**: ელენე ფილაშვილი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
**საკონტაქტო ტელეფონი**: 893-50-42-70

კურსი გათვალისწინებულია არჩევით დისციპლინად „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. III სემესტრში.
**კურსის ხანგრძლივობა** – 15 კვირა. კურსი ითვალისწინებს სალექციო-თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას; ცოდნის სისტემატურ განმტკიცება-შემოწმებას. ყოველკვირეულად სტუდენტებს მიეცემათ საშინაო დავალება. სწავლება წარიმართება ინტერაქტიურად.
საკონსულტაციო საათები-ოთხშაბათი-11-13 სთ.
**კურსის მიზანი** – კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტმა მიიღოს ამომწურავი ცოდნა ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკაში. გაიცნოს სხვადასხვა ტიპის მეთოდები, ხერხები, სტრატეგიები, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები (საკომუნიკაციო,სისტემური, სოციალური, კოგნიტური და მეთოდოლოგიური), რომელიც დაეხმარება ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების სრულყოფილად სწავლებაში.

**სასწავლო კურსის შედეგი** –
კურსის სწავლების შედეგად გაღრმავდება მაგისტრანტთა ცოდნა ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკაში.
მათ კარგად ეცოდინებათ რა გზითა და მეთოდებით უნდა შეასწავლონ არაქართველ მოსწავლეებს ქართული, როგორც მეორე ენა, რომ მიაღწიონ ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის ენის ცოდნის სამ ძირითად დონეს:
A. ენის ელემენტარულ ფლობას;
B. ენის დამოუკიდებლად ფლობას;
C. ენის თავისუფლად ფლობას.

**პრეკვიზიტი**: არ გააჩნია

## სალექციო კურსის შინაარსი

**I კვირა**

**სტუდენტები გაეცნობიან სილაბუსსა და შეფასების კრიტერიუმებს**

**სალექციო თემა** – ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გზების, მეთოდების, ხერხების, სტრატეგიების; პრაქტიკული და რტანსფარტული უნარების სწავლება.

**ლიტერატურა** – ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-43.

**II – III კვირა**

**სალექციო თემა** – ქართულის, როგორც მეორე ენის, სამეტყველო ფუნქციების (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) სწავლება.

**ლიტერატურა** – კ. გაბუნიას, ნ. შარაშენიძის, ქ. გოჩიტაშვილისა და გ. შაბაშვილის მიერ შედგენილი საკითხავები (Readers).

**IV კვირა**

**სალექციო თემა** – ქართული ენის რაობის სწავლება (ბგერითი სისტემის, გრამატიკის სემანტიკის, პრაგმატიკის სწავლება) შედარება-შეპირისპირება მშობლიურ ენასთან.

**ლიტერატურა** – თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19-75.

**V – VI კვირა**

**სალექციო თემა** – სახელთა სწავლება (არსებითი, ზედსართვი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი).

**ლიტერატურა** – 1. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 105-135.
2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 62-175.

**VII კვირა**

**სალექციო თემა** – ორთოეპიისა და მართლწერის სწავლება

1. ზეპირი და წერითი მეტყველების ურთიერთობა;
2. სასვენი ნიშნები;
3. ტიპიური შეცდომები ქართული ბგერების წარმოთქმის დროს.

**ლიტერატურა** – 1. შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-165; 167-186.
2. ა არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 44-101.

**VIII – IX კვირა**

**სალექციო თემა** – ზმნის ფორმასთან დაკავსირებული მართლწერის საკითხების სწავლება.

**ლიტერატურა** – 1. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 140-158.
2. შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106-137.
3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 176-223.

**X კვირა**

**სალექციო თემა** – ა) რთული სითყვების, კომპოზიტების მართლწერის სწავლება;
ბ) სიტყვის შემოკლებისა და აბრევიატურის სწავლება.

**ლიტერატურა** – 1. ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 126-136.

2. შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 186-191.

**XI – XII კვირა**
**სალექციო თემა** – ა) წინადადების რაობის სწავლება;
ბ) წინადადების მთავარ და არამთავარწევრთა სწავლება.
**ლიტერატურა** – ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202-205;209-222.

**XIII კვირა**
**სალექციო თემა** – წინადადების ტისპების წავლება.
**ლიტერატურა** – ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222-232; 243-257.

**XIV კვირა**
**სალექციო თემა** – სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის წავლება
**ლიტერატურა** – ა. არაბული, დასახ. ნაშრომი, გვ. 162-184.

**XV კვირა** – შემაჯამებელი ლექცია. პრეზენტაცია.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**
–გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), წერითი და ზეპირი გამოკითხვა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია.
სემინარული მუშაობაში ვგულისხმობ – 1.თითოეული სტუდენტის მიერ თვეში ერთხელ გავლილი შესაბამისი მასალიდან ერთი ან რამოდენიმე საკითხის დაწერას შუალედური გამოცდის სახით(სულ სემესტრში სამჯერ), 2. განვლილი მასალის ინდივიდუალურად დამუშავებას და სემესტრის განმავლობაში ერთხელ მის ზეპირ პრეზენტაციას, 3. სემესტრის განმავლობაში რვაჯერ მოკლე წერითი გამოკითხვის ჩატარებას 4. ორი წერითი საშინაო დავალების შესრულებას.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები** – სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ **100** ქულიანი სისტემით.

**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

**ა/. ორი შუალედური წერა** ––– მაქსიმუმ **30** ქულა, თითოეული მაქსიმუმ **15** ქულა (VIII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება. ***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

**1. დავალება — თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:**

- საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება — 4 ქულა;

- ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება— 4 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა —— 2 ქულა;

დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა —– 1 ქულა;

10-ზე მეტი შეცდომა ———— 0 ქულა

**2. დავალება — პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**

- დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება—3 ქულა;
ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა; ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;

არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი —– 0 ქულა.

- **წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;**
- არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა—— 0 ქულა.

**ბ/. ზეპირი საუდიტორიო აქტივობები –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

*პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა);
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი** — მაქსიმუმ 10 ქულა,

*შეფასების კრიტერიუმები:*

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ——— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) —– 3 ქულა;

- წერითი მეტყველების კულტურა ———— 2 ქულა.

II. დასკვნითი გამოცდა ––– მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**მოთხოვნები – ა/. ქცევა –** თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

**ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და**

**პლაგიატობა –** საშინაო დავალებები – 0 ქულა,

შუალედური წერა – 0 ქულა

საბოლოო გამოცდა – 0 ქულა

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. კ. გაბუნიას, ნ. შარაშენიძის, ქ. გოჩიტაშვილისა და გ. შაბაშვილის მიერ შედგენილი საკითხავები (Readers), თბ. 2010 წ.
2. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ. 2009 წ.
3. თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ, 2003 წ.

**დამატებითი:**

1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ, 2002 წ.
2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ, 1986 წ.